სექსუალური განათლება საქართველოს სკოლებში

თათა კაკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციალური მუშაობა

ხელმძღვანელი: რუსუდან ასათიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2026

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება სექსუალური განათლების საკითხს საქართველოს სკოლებში და მიზნად ისახავს არსებული მდგომარეობის, გამოწვევებისა და ბარიერების შესწავლას. კვლევის მთავარი ამოცანაა იმ სოციალური, კულტურული და ინსტიტუციური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც აფერხებს სექსუალური განათლების ეფექტურ დანერგვას სასკოლო სივრცეში. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია, რამდენად პასუხობს არსებული საგანმანათლებლო სისტემა მოზარდების რეალურ საჭიროებებს და რა გავლენას ახდენს ინფორმაციის ნაკლებობა მათ ჯანმრთელობასა და სოციალურ ქცევაზე.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდად გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც თბილისის, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებში დასაქმებული მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები. ინტერვიუების საშუალებით გამოიკვეთა მათი პროფესიული გამოცდილება, მოსწავლეთა ინფორმირებულობის დონე, სკოლებში არსებული გამოწვევები, სოციალური სტიგმა და ინსტიტუციური პრობლემები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოზარდების ინფორმირებულობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე არასაკმარისია და ისინი ინფორმაციას ძირითადად სოციალური ქსელებისა და თანატოლებისგან იღებენ. რესპონდენტების შეფასებით, სკოლებში სექსუალური განათლების მიმართულებით არ არსებობს ერთიანი და სისტემური მიდგომა, ხოლო მასწავლებლებისა და სასკოლო პერსონალის ნაწილი აღნიშნულ თემებზე მუშაობისთვის სათანადოდ მომზადებული არ არის. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სექსუალური განათლების დანერგვას მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებაში არსებული სტიგმა, ტრადიციული დამოკიდებულებები და მშობლების ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება.

ნაშრომში ხაზგასმულია სოციალური მუშაკების მნიშვნელოვანი როლი მოზარდების მხარდაჭერისა და ინფორმირებულობის გაზრდის პროცესში. კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს სექსუალური განათლების სასწავლო პროგრამაში სისტემურ ინტეგრირებას, პედაგოგებისა და სოციალური მუშაკების პროფესიულ გადამზადებას, მშობლების ჩართულობის გაზრდასა და ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: სექსუალური განათლება, სკოლა, მოზარდები, სოციალური მუშაკი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, საქართველო, სტიგმა, განათლების სისტემა.

Abstract

This thesis examines the issue of sexual education in Georgian schools and aims to explore the current situation, challenges, and barriers related to its implementation. The primary objective of the study was to identify the social, cultural, and institutional factors that hinder the effective integration of sexual education within the school environment. The thesis also analyzes the extent to which the existing educational system addresses adolescents' actual needs and assesses the impact that a lack of information has on their health and social behavior. The research was conducted using a qualitative research methodology. Semi-structured interviews were employed as the primary method of data collection. The participants included social workers employed by the Mandaturi Service in schools located both in Tbilisi and various regions of Georgia.

The interviews provided valuable insights into their professional experiences, the level of students' awareness, challenges within schools, social stigma, and institutional issues related to sexual education.

The findings revealed that adolescents possess insufficient knowledge regarding sexual and reproductive health and primarily obtain information from social media and their peers. According to the respondents, there is no unified and systematic approach to sexual education in schools, while a considerable number of teachers and school staff are not adequately prepared to address these topics. The study also demonstrated that the implementation of sexual education is significantly hindered by social stigma, traditional attitudes, and the negative perceptions held by some parents.

The thesis highlights the important role of social workers in supporting adolescents and increasing their awareness of sexual and reproductive health issues. Based on the research findings, a set of recommendations was developed, including the systematic integration of sexual education into the school curriculum, professional training for teachers and social

workers, increased parental involvement, and the strengthening of institutional support mechanisms.
Keywords: sexual education, school, adolescents, social worker, reproductive health, Georgia, stigma, education system.